<u>დანართი</u>

შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები

მუხლი 1. შეუთავსებლობის საკითხების რეგულირების საფუძვლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ უსკოს თავმჯდომარისა და წევრების, შრომითი ურთიერთობებისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები განისაზღვრება: საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით და ამ დადგენილებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დადგენილების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია – უმაღლესი საარჩევნო კომისია შემდგომში – უსკო.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე) – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული უსკოს თავმჯდომარე;

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი (შემდგომში წევრი) – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული უსკოს წევრი;

4. შრომის ანაზღაურება (ხელფასი) – თანამდებობრივი სარგო, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო.

მუხლი 3. არჩევის და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

თავმჯდომარის/წევრის არჩევის და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი დადგენილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადა

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით უსკოს თავმჯდომარის და წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

2. თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უსკოს თავმჯდომარის/წევრის არჩევის შესახებ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებისთანავე თუ უმაღლესი საბჭოს ამავე დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას.

4. თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება უწყდება ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 5. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება

1. უსკოს თავმჯდომარის/წევრის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება ნიშნავს მის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისაგან.

2. უსკოს თავმჯდომარის/წევრის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება:

ა) შვებულების დროს;

ბ)დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც დასტურდება შესაბამისი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე;

გ) სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ კომისიის წევრს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თავმჯდომარის/წევრის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას.

ე) უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კომისიის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ) შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად ან მის საფუძველზე, უსკოს თავმჯდომარის/წევრის დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევაში.

3. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში კომისიის წევრს უნარჩუნდება შრომისანაზღაურება, გარდა ამ მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ” და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უსკოს კომისიის წევრისათვის შრომის ანაზღაურების შენარჩუნების საკითხს წყვეტს უსკოს თავმჯდომარე.

ე) თავმჯდომარის/წევრის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გამოიცემა უსკოს თავმჯდომარის ბრძანება.

მუხლი 6. სამუშაო პირობების შექმნა

1. თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილების განსახორციელებლად საარჩევნო კომისიის შენობაში გამოეყოფა სამუშაო ფართობი, ავეჯი, ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და კავშირგაბმულობის საშუალებები.

2. თავმჯდომარის/წევრის მიერ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის ხარჯები ანაზღაურდება უსკოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 7. შრომის ანაზღაურება

1. თავმჯდომარეს/წევრს უფლება აქვს, კომისიაში არჩევის დღიდან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის დღემდე მიიღოს საქართველოს კანონით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

2. შრომის ანაზღაურება თავმჯდომარეს/წევრს ეძლევა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3. საარჩევნო პერიოდში, თავმჯდომარეს/წევრებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.

4. თავმჯდომარეს/წევრებს შეიძლება მიეცეთ სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. თავმჯდომარის/წევრის შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს უსკო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 8. სახელფასო დანამატი

1. თავმჯდომარეს/წევრს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სახელფასო დანამატი შეიძლება მიეცეს:

ა) შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესაბამისად ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის;

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში შექმნილ სხვადასხვა კომისიაში, საბჭოში, სამუშაო ჯგუფში საქმიანობის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო;

გ) საარჩევნო ან/და არასაარჩევნო პერიოდში შესრულებული ზეგანაკვეთური და დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის გამო.

2. თავმჯდომარეს/წევრს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სახელფასო დანამატი შეიძლება მიეცეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაშიც.

მუხლი 9. წახალისება

თავმჯდომარის/წევრის წახალისების ფორმებია:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;

გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა.

მუხლი 10. სამუშაო დრო და დასვენების დრო

1. თავმჯდომარის/წევრის სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც კომისიის წევრი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება.

2. თავმჯდომარის/წევრების სამუშაო და დასვენების დრო განისაზღვრება უსკოს რეგლამენტითა და შინაგანაწესით.

3. საარჩევნო პერიოდში კომისიის თავმჯდომარის/წევრების მუშაობის პერიოდულობა და სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება უსკოს რეგლამენტით და უსკოს შინაგანაწესით.

მუხლი 11. ზეგანაკვეთური სამუშაო

1. თავმჯდომარის/წევრის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება უსკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

2. თავმჯდომარის/წევრის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო (გარდა საარჩევნო პერიოდისა) ანაზღაურდება კომისიის წევრის სურვილის შესაბამისად მისთვის დანამატის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

3. არასაარჩევნო პერიოდში, თავმჯდომარის/წევრის ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და ამ დადგენილების შესაბამისად.

4. საარჩევნო პერიოდში თავმჯდომარის/წევრის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონებით და ამ დადგენილებით.

მუხლი 12. შვებულება

1. თავმჯდომარის/წევრისთვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.

2. თავმჯდომარეს/წევრს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა წევრად არჩევიდან/დანიშვნიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. უსკოს თავმჯდომარის თანხმობით კომისიის წევრს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის მეორე წლიდან კომისიის წევრს შვებულება სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მიეცემა, გარდა საარჩევნო პერიოდისა.

3. თავმჯდომარეს/წევრს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შვებულება ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს.

4. თავმჯდომარეს/წევრს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში შვებულების პერიოდულობა უსკოს თავმჯდომარესთან უნდა შეთანხმდეს.

5. თავმჯდომარეს/წევრს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარჩევნო ადმინისტრაციის ინტერესებს.

მუხლი 13. შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო

თავმჯდომარის/წევრის შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო საკითხები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. მივლინება

1. თავმჯდომარის/წევრის მივლინების საკითხები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად.

2.თავმჯდომარის/წევრის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 15. სამსახურებრივი მოვალეობის კანონიერად შესრულება

თავმჯდომარე/წევრი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, საარჩევნო კანონმდებლობა და უსკოს რეგლამენტი. ასევე ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საარჩევნო ადმინისტრაციის რეპუტაციას.

მუხლი 16. გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვის ვალდებულება

თავმჯდომარე/წევრი ვალდებულია:

ა) საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს;

ბ) გამჟღავნებისაგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

მუხლი 17. საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ვალდებულება

თავმჯდომარე/წევრი ვალდებულია როგორც უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

მუხლი 18. სამსახურებრივი უფლებამოსილების ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელება

1. თავმჯდომარე/წევრი ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე, უფლებამოსილების შეწყვეტამდე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი საარჩევნო ადმინისტრაციის ქონების დასაბრუნებლად მიმართოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს ქონება.

2. თავმჯდომარის/წევრის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 19. სხვა უფლებები და ვალდებულებები

1. თავმჯდომარის/წევრის ინტერესთა შეუთავსებლობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და გარიგების დადების შეზღუდვის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ დადგენილებით.

2. თავმჯდომარის/წევრის მიერ ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით და უსკოს მოხელეთა ეთიკის კოდექსით.

მუხლი 20. სამსახურის სტაჟი

1. სამსახურის სტაჟი მოიცავს თავმჯდომარის/წევრის საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის პერიოდს.

2.თავმჯდომარის/წევრის სამსახურის სტაჟის დამადასტურებელ ცნობას გასცემს უსკო.

მუხლი 21. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები

1. თავმჯდომარის/წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი და ეს დადგენილება.

2. თავმჯდომარეს/წევრს უფლება არა აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა), ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. კომისიის წევრის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში.

3. თავმჯდომარეს/წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

4. თავმჯდომარე/წევრი ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სამსახურის გავლის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თავმჯდომარეს/წევრს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.

6. თავმჯდომარეს/წევრს არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.

7. თავმჯდომარეს/წევრს უფლება არა აქვს, იყოს რომელიმე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე რომელიმე საჯარო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი.

8. თავმჯდომარის/წევრის მიერ ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა განიხილება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევად და მასზე რეაგირება განხორციელდება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.